საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 623-02
22/03/2024

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის საბჭოს წევრობის კანდიდატთა რეგისტრაციისა და არჩევნების ჩატარების თარიღის შესახებ

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 27-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-18 მუხლის პირველი და მეექვსე პუნქტების, 24 -ე მუხლის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 7 ნოემბრის N9 სხდომაზე დამტკიცებული ,,ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო დებულების“ მე-18 მუხლის, ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის საბჭოს 2024 წლის 11 მარტის N2 სხდომის გადაწყვეტილების და ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის დეკანის 2024 წლის 20 მარტის N4894-35 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ

1. გამოცხადდეს ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის საბჭოში წევრობის კანდიდატთა რეგისტრაცია და არჩევნები 7 ვაკანტურ ადგილზე.

2. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის საბჭოს წევრობის კანდიდატთა რეგისტრაციის ვადა განისაზღვროს 2024 წლის 25 მარტიდან 29 მარტის 18:00 საათის ჩათვლით უნივერსიტეტის კანცელარიაში (ჩოლოყაშვილის გამზ.3/5) ან უნივერსიტეტის ელექტრონულ მისამართზე info@iliauni.edu.ge განაცხადის (დანართი) გამოგზავნით.

3. უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის საბჭოს წევრობის კანდიდატი უნდა იყოს ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი.

4. კანდიდატის რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში კანდიდატი უფლებამოსილია ხარვეზი შეავსოს 2 სამუშაო დღის განმავლობაში. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის უარი რეგისტრაციაზე კანდიდატს შეუძლია გაასაჩივროს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიაში კომისიის გადაწყვეტილების მიღებიდან 1 სამუშაო დღის განმავლობაში. საჩივართან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია იღებს საჩივრის მიღებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში;

5. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის საბჭოს წევრობის კანდიდატის შვიდ ვაკანტურ ადგილზე გამოცხადებული არჩევნები ჩატარდეს 2024 წლის 3 აპრილს 12:00 საათიდან 16:00 საათამდე E 404 აუდიტორიაში. არჩევნებში ხმის მიცემის უფლება აქვს ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ყველა წევრს.

6. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანების უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსება;

7. ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტს დაევალოს ამ ბრძანების ფაკულტეტის აკადემიური პერსონალისათვის გაცნობა და ინფორმირება.

8. ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს დაევალოს, 2024 წლის 29 მარტის ჩათვლით მიაწოდოს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის სია- სახელის, გვარისა პირადი ნომრის მითითებით.

9. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას დაევალოს მიაწოდოს ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტს ინფორმაცია დარეგისტრირებული კანდიდატების შესახებ 2024 წლის 1 აპრილის ჩათვლით.

10. უნივერსიტეტის კანცელარის დაევალოს მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები რექტორის აპარატს, ადამიანური რესირსების მართვის სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტს, უნივერსიტეტის იურიდიულ სამსახურსა და უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას.

ნინო დობორჯგინიძე

რექტორი